

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ (2014 წლის 30 სექტემბერს დადებული შეთანხმების საფუძველზე, სს „სუფსა ენერჯი“) შორის 2014 წლის 12 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

2 აპრილი, 2016 წ.

წინამდებარე შეთანხმება დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში წოდებული, როგორც „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის მიერ,

და მეორე მხრივ, შპს სს „სუფსა ენერჯი“ (შემდგომში წოდებული, როგორც „კომპანია“), ს/კ: 405051624, წარმოდგენილი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, გიორგი ჩიტაშვილის მიერ.

ვინაიდან, საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ (2014 წლის 30 სექტემბერს დადებული შეთანხმების საფუძველზე, სს „სუფსა ენერჯი“) შორის 2014 წლის 12 მარტს დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) ჰიდროელექტროსადგურების: „სურები ჰესი“, „ვანი ჰესი“, „ბუკისციხე ჰესი“ „სუფსა მცირე ჰესი“ და „ბარამიძე ჰესი“ - მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის, მემორანდუმისა და მხარეებს შორის შემდგომში შეთანხმებული პირობების მიხედვით მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების თაობაზე;

ვინაიდან, მემორანდუმის შესაბამისად, კომპანიამ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის შესახებ ანგარიში;

ვინაიდან, მემორანდუმის შესაბამისად, მხარეებმა ერთობლივად განიხილეს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საკითხი და მათი მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის შესახებ ანგარიშის საფუძველზე, მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება მემორანდუმით გათვალისწინებული ყველა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე;

ვინაიდან, მხარეები აწარმოებენ მოლაპარაკებას ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმებისა და ამ ხელშეკრულების დადების მიზნით;

აქედან გამომდინარე, მხარეები დებენ წინამდებარე შეთანხმებას მათ შორის 2014 წლის 12 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შემდეგი პირობებით:

1. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3.4 კომპანიის მიერ წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) თვის ვადაში მთავრობა და კომპანია განიხილავენ ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ დასაბუთებულ ხელშეკრულებ(ებ)ის პირობებსა და შეთანხმების შემთხვევაში, ხელს მოაწერენ შესაბამის ხელშეკრულებას/ხელშეკრულებებს.“
2. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები, ისევე, როგორც მათი ნუმერაცია, დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, საქართველოს მთავრობის მიერ შეთანხმების პროექტის მოწონების საფუძველზე.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილსა და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
5. წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალამი

სს „სუფსა ენერჯი“

გეორგი ჩიტაშვილი



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№596 2016 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ შორის 2014 წლის 12 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და სს „სუფსა ენერჯის“ შორის დასადები შეთანხმების პროექტი საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ (2014 წლის 30 სექტემბერს დადებული შეთანხმების საფუძველზე, სს „სუფსა ენერჯი“) შორის 2014 წლის 12 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა ვახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი

ვ. კვიციანი



გიორგი კვიციანიშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010174314792316

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 st, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№1381

01 / მარტი / 2016 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის
შოდეილეს,
ზატონ ირაკლი ხმაღამეს

ზატონ ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2016 წლის 25 თებერვლის №04/635 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ (2014 წლის 30 სექტემბერს დადებული შეთანხმების საფუძველზე, სს „სუფსა ენერჯი“) შორის 2014 წლის 12 მარტს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. ლორთქიფანიძე

მინისტრის შოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე